სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №02-025

ქ. თბილისი

09.01.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, 24-ე მუხლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-18 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ვაკანტურ ადგილებზე;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 12 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით, ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);

3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;

   ბ) ფაკულტეტის სახელწოდება;

4. ამ ბრძანების მესამე პუნქტში მითითებულ განაცხადს უნდა დაერთოს

კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 დღის ვადაში;
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2015 წლის 16 იანვრამდე მიაწოდოს აკადემიური პერსონალისა სია, პირადი ნომრის მითითებით;

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ჩატარდეს 2015 წლის 26 იანვარს, 14:00 საათიდან 16:00 საათამდე (მის:მ. თამარაშვილის ქ.N4, ოთახი H120);

8. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

რექტორი გიგა ზედანია